

# ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის საზღვარგარეთული გამოცდილება

*შანიძე გოდერძი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## The experience of promoting Business Development Abroad

*Shanidze Goderdzi – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University; Kutaisi University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** The level of development of the business sector in Georgia is significantly lower than in the developed countries. We still cannot establish the system of business support and promotion at the appropriate level. Apparently, business development cannot be formed without the formation of an appropriate business environment. When our state thinks about activities of promoting business development, rightly I think, to share the experience of overseas business support.

The purpose and objectives of the work are to demonstrate the need what is called the sharing the experiences of developed countries in the direction of promoting business development. Sharing this very useful experience (people's employment, looking for investments, tax advantages for startups, small and medium enterprises. etc.) I think is the fruitful for our country's economy.

**Research methodology:** While doing the research I used the methods of analysis and observation.

**Results and implications:** The study has shown that sharing foreign experience will greatly benefit to work out the program of promoting business development and finally to the country's economic development.

**Conclusion:** Solutions of the problem can be as follows: in order to have business development in our country according to modern challenges of the world I consider it is necessary for the government that while doing the economic policies it should take into account the experience of foreign countries, who have already seen the difficulties of the problem earlier and it should support business development with the world's proven methods.

**Keywords:** business, investments, foreign experience, tax advantages

**მესავალი და მიზანი:** საქართველოს ბიზნეს-სექტორის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს. ჩვენთან ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ ჩამოყალიბდა ბიზნესის მხარდაჭერისა და სტიმულირების სისტემა. ბუნებრივია, ბიზნესის განვითარება ვერ შედგება სათანადო ბიზნეს-გარემოს ფორმირების გარეშე. როდესაც ჩვენი სახელმწიფო ფიქრობს ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე, მართებულად მიმაჩნია, გაიზიაროს ბიზნესის მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილება.

ნაშრომის მიზანი და ამოცანებია წარმოვაჩინო ის აუცილებლობა, რასაც განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ჰქვია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. სწორედ ასეთი სასარგებლო გამოცდილების (ადამიანების დასაქმების, ინვესტიციების მოძიების, სტარტაპებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესების და ა.შ.) გაზიარება მიმაჩნია მართებულად და შედეგების მომტანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოვიყენე ანალიზისა და დაკვირვების მეთოდები.

**შედეგები და გამოყენება:** კვლევამ აჩვენა, რომ, უცხოური გამოცდილების გაზიარება დიდად წაადგება ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემუშავებას და საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

**დასკვნა:** პრობლემის გადაჭრის გზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდეს ბიზნესის განვითარება მსოფლიო თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, აუცილებლად მიმაჩნია ხელისუფლებამ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას გაითვალისწინოს უცხოური ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ჩვენზე ადრე იწვიეს პრობლემის სირთულეები და ბიზნესის განვითარებას მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით შეუწყოს ხელი.

## საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ინვესტიციები, უცხოური გამოცდილება, საგადასახადო შეღავათები

საქართველოს ბიზნეს-სექტორის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს. ჩვენთან ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ ჩამოყალიბდა ბიზნესის მხარდაჭერისა და სტიმულირების სისტემა. ბუნებრივია, ბიზნესის განვითარება ვერ შედგება სათანადო ბიზნეს-გარემოს ფორმირების გარეშე. ბიზნესის გარემოში იგულისხმება სხვადასხვა ხასიათის პირობათა (ფაქტორთა) ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარების მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე. ნებისმიერი პროფილის სამეწარმეო სუბიექტს უწევს მუშაობა განსაზღვრულ გარემოში და ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების არსებობა.


როდესაც ჩვენი სახელმწიფო ფიქრობს ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე, მართებულად მიმაჩნია, გაიზიაროს ბიზნესის მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილება. წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ახალი საგადასახადო კოდექსით, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე ვრცელდება სპეციალური - შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები. მიკრო ბიზნესი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ხოლო მცირე ბიზნესი სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით.

დასავლურ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საბაზრო სისტემა საუკუნეებს ითვლის, ბიზნესის რეგულაციის და მხარდაჭერის ხანგრძლივი გამოცდილება დაგროვდა (განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა). სწორედ ასეთი სასარგებლო გამოცდილების (ადამიანების დასაქმების, ინვესტიციების მოძიების, სტარტაპებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესების და ა.შ.) გაზიარება მიმაჩნია მართებულად და შედეგების მომტანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ზოგადად, როგორც ცნობილია ბიზნესის სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდი რაოდენობით მუშახელის დასაქმება. სახელმწიფოს ბიზნესისადმი დახმარება განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას, რაც ყველა ხელისუფლების სურვილია, სწორედ ამიტომ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნისათვის.

### საქართველოში ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა

დიაგრამა 1



წყარო: <http://www.economy.ge/ge/economic-data/business-sector>. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

დადგენილია, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკათა სტრუქტურას და ეფექტიანობას განაპირობებს ბიზნესის პროფესიული დონე და სოციალური აქტივობა, მისი უნარი, განავითაროს ეკონომიკის ინოვაციური სექტორი.


ბოლო წლებში, მიუხედავად კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არ მომხდარა მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბების შეზღუდვა, რადგანაც ისინი სიცოცხლისუნარიანები აღმოჩნდნენ. სწორედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა.

ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოღინება. საქართველოში ინვესტიციების შემოღინების შემდეგი მაჩვენებლები გვაქვს:

**საქართველოში უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით**

დიაგრამა 2

**ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წ**



წყარო: <http://www.economy.ge/ge/economic-data/business-sector>. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ბიზნესის განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ამიტომ, როცა მივმართავთ ციფრობრივი მაჩვენებლებით ოპერირებას და განვითარებული ქვეყნების შედარებას ქართულ რეალობასთან, აუცილებელია ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული განსხვავებების, ასევე ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის, მასშტაბების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სწორედ ეროვნული განსაკუთრებულობები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ბიზნესის ჩართულობის შესაძლებლობაში რეალური სექტორის საწარმოო პროცესებში.

სხვადასხვა ქვეყანაში დროის განსხვავებულ პერიოდში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და მასშტაბები განსხვავებულია. გასული საუკუნის დასაწყისამდე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებდა თავისუფალი კონკურენციის პრინციპი, რაც განაპირობებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობას. თავისუფალი კონკურენციის ბაზაზე წარმოიქმნა მსხვილი კორპორაციები, რომლებიც აკონტროლებდნენ მთელი დარგის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, თავს ახვევდნენ ბაზარს მონოპოლიურ

ფასებს. ამით ისინი ხელს უშლიდნენ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და საბაზრო მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას.

წარმოიქმნა სიმდიდრისა და სიღარიბის უკიდურესობანი, რაც მოითხოვდა ამ უთანასწორობის რაღაც თანაფარდობაში მოყვანას. ყოველივე ზემოთ თქმულმა განაპირობა, თითოეული ადამიანის ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. გადასაწყვეტი იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმები და ფარგლები. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის რეგულირების მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენება, რომლებიც ახორციელებენ არა მხოლოდ ბიზნესის მოქმედების რეგლამენტირებას, არამედ მისი მხარდამჭერი აქტიური პოლიტიკის გატარებასაც. ბიზნესის მხარდამჭერის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას მრავალი ქვეყანა არასაკმარისად მიიჩნევს, და სახელმწიფოსგან მოითხოვს უფრო ფართო მხარდამჭერას. უმეტესად აპროტესტებენ მკაცრ საგადასახადო სისტემას და მაღალ საშემოსავლო გადასახადებს. ზოგიერთ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის მოძველებული კანონმდებლობა, პოლიტიკური სიტუაცია და არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა.

ბევრ სახელმწიფოში მოქმედებს ე.წ. ალტერნატიული გადასახადები. მათ გამოყენებას აზრი აქვს იქ, სადაც სეზონური საქმიანობა ხორციელდება, რომელსაც თან ახლავს საქმიანობის ადგილის ხშირი ცვლილება. მისი პოვნა საბოლოო ანგარიშწორებისათვის დიდ დანახარჯებს უკავშირდება, ამიტომ აქ ალტერნატიული გადასახადები უფრო მისაღებია ბიუჯეტისათვის. ასეთი გადასახადები გამოიყენება საფრანგეთში, ისრაელში, ესპანეთსა და იტალიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი განსაკუთრებული რეჟიმი ზღუდავს რესურსების განაწილებას (განლაგებას) და არღვევს სამართლიანობას. აქვე მოტანილი გვაქვს განზოგადებული ანალიზი საზღვარგარეთის ქვეყნებში აპრობირებული სპეციალური რეჟიმების შესახებ (იხ. ცხრ. 1).

**მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმები ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში**

**ცხრილი 1**

ქვეყანა	საგადასახადო რეჟიმი
ბელგია	საწარმოებს 13 მლნ. ბელგიურ ფრანკზე ნაკლები საგადასახადო დაბეგვრის შემოსავლით უფლება აქვთ ისარგებლონ შემცირებული საგადასახადო განაკვეთით, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს: არ ფუნქციონირებენ საფინანსო სექტორში, არ ჰყავთ მაჟორიტარი მფლობელი, დივიდენდების განაწილება გადახდილი კაპიტალის 13% -ზე ნაკლებია წლის დასაწყისისათვის; შემცირებული ეფექტური განაკვეთები შეადგენენ: 24,98%-ს 25 000 ევრომდე შემოსავალზე; 31,93%-ს 25 001-90 000 ევრომდე შემოსავალზე; 35,54%-ს 90 001-322 500 ევრომდე შემოსავალზე.
ავსტრია	არ არის სპეციალური საგადასახადო რეჟიმები მცირე ბიზნესისათვის
კანადა	მცირე საწარმოებს უფლება აქვთ ისარგებლონ შემოსავალზე გადასახადის შემცირებელ განაკვეთზე (27,6%), თუ აქტიური სამეწარმეო შემოსავალი 30 000 CAD-ზე ნაკლებია. საწარმოებისათვის, რომელთა გაყიდვების მოცულობა ნაკლებია 30 000 CAD-ზე, სავალდებულო არ არის დარეგისტრირდნენ general sales tax/harmonized sales tax-სთვის. საწარმოებს, რომლებიც გადაცდებიან ამ ზღვარს, შეუძლიათ გამოიყენონ აღრიცხვის ორი გამარტივებული მეთოდიდან ერთი-ერთი.
დანია	არ არის სპეციალური საგადასახადო რეჟიმები მცირე ბიზნესისათვის
გერმანია	არ არის რეჟიმი მცირე ბიზნესისათვის. თუმცა მცირე ბიზნესს ეძლევა რამდენიმე შეღავათი: საწარმოები წლიური გაყიდვებით არაუმეტეს 350 000 ევროს ან სამეწარმეო შემოსავლით არაუმეტეს 30 000 ევრო სარგებლობენ გამარტივებული საბუღალტრო აღრიცხვით. საინვესტიციო შეღავათები: საწარმოები არაუმეტეს 17 500 ევროს წლიური ბრუნვით არ იხდიან დღგ-ს. დღგ ჩვეულებრივ, იანგარიშება დარიცხვის მეთოდით, მაგრამ ფირმებისათვის ბრუნვით არაუმეტეს 125 000 ევროსი, დაშვებულია საკასო მეთოდის გამოყენება.
ირლანდია	არ არის გადასახადები მცირე ბიზნესისათვის.
ნიდერლანდები	არ არის მოქმედი საგადასახადო რეჟიმი მცირე ბიზნესისათვის. თუმცა ვაჭრობისათვის და საცალო ვაჭრობისათვის ხელმისაწვდომია დღგ-ს გადახდის გამარტივებული მეთოდები.

ევროკავშირს მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარების საკმაოდ მწყობრი სტრუქტურა აქვს. ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოში არსებობს როგორც სახელწიფო ისე კერძო ორგანიზაციები, რომელთა მიზანსაც მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და განვითარება წარმოადგენს. ამასთან ევროკავშირის თითოეულ სახელმწიფოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პოლიტიკას შეიმუშავებს ძირითადად ეკონომიკის და/ან მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროები.

საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა ჩვენი საექსპორტო პროდუქციის ევრო ბაზარზე მოხვედრის შესაძლებლობები, რომლითაც ჩვენს ბიზნესს გაეხსნა 500 მილიონიანი ბაზარი და პროდუქციის გასაღების კარგი შესაძლებლობები შეექმნა, რატემა უნდა ამაღ კიდევ უფრო გაუზარდა პასუხისმგებლობა ბიზნესმენებს, რათა მაღალხარისხიანი და მოთხოვნადი პროდუქცია აწარმოონ. იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდეს ბიზნესის განვითარება მსოფლიო თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, აუცილებლად მიმაჩნია ხელისუფლებამ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას გაითვალისწინოს უცხოური ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ჩვენზე ადრე იწვიეს პრობლემის სირთულეები და ბიზნესის განვითარებას მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით შეუწყოს ხელი.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

- [1] თეთრუაშვილი ი. „ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში“. ქუთაისი, 2014 წელი
- [2] <http://www.economy.ge/ge/economic-data/business-sector>. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.